საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ი. ზ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 014/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ც. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ც. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 27 იანვარს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ი. ზ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ც. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ც. ჯ.-მა 2020 წლის 26 იანვარს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე საჯაროდ, მის მიმართ გამოიყენა შემდეგი შეურაცხმყოფელი ფრაზები: „ზ. რომ აგენტია ეგ მთელმა საქართველომ იცის, მაგრამ სუსსაც კი არ უკადრია ისეთი ტყუილები, რაც ამ ზ.-მა იკადრა“, „...გახრწნილი მატყუარა“, „ზ. ეგ ტროლი...“,

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის აპირებდა, რომ იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი სინანულს გამოხატავდა, გაიხმობდა საჩივარს, თუმცა ც. ჯ.-მა კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტების წარმოდგენისას განმარტა, რომ ის ადვოკატადაც არ მიიჩნევს მას, მოიხსენიებს, როგორც „ნომრიან ან უნომრო აგენტად“, არც ნანობს მის მიერ გაჟღერებულ ფრაზებს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის არ ეთახნმება ც. ჯ.-ს იმის თაობაზე, რომ თითქოს ცილს წამებს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს და ვინმეს გაუპატიურებაში დებს ბრალს. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მოქალაქეობრივი პოზიცია გამოხატა თ. მ.-ის საქმეზე, რაზეც ინფორმაცია შესაბამისი ორგანოების მხრიდან ოფიციალურად საჯაროდ ქვეყნდებოდა, „სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება უკვე შესული იყო კანონიერ ძალაში“ და სხვა გზით ამ საქმეზე ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა, როგორც ამას ადვოკატი ც. ჯ. უთითებს და ამასთან, მისთვის უცნობი იყო ვინ იყვნენ ჩართული ამ საქმეში წარმომადგენლად და არსად ადვოკატი ც. ჯ. და არც სხვა კოლეგები არ უხსენებია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 24 დეკემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ც. ჯ.-მა დისტანციურად წარმოადგინა ახსნა-განმარტება. ადვოკატმა 2022 წლის 21 ივლისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს არასრულად აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია მის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გაზიარებულ პოსტთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ რა უძღოდა წინ მის პოსტს. სოციალურ ქსელში ი. ზ.-მა გამოაქვეყნა „უბინძურესი პოსტი“, სადაც ის „ლანძღავდა მ. მ.-ს“, მოიხსენიებდა როგორც „საზიზღარ პიროვნებად“ და ცილი დასწამა, რომ თითქოს „ბავშვი გააუპატიურა“. ი. ზ.-მა გამიზნულად წაშალა მისი პირადი გვერდიდან ზემოაღნიშნული პოსტები და შესაბამისად, ადვოკატმა ც. ჯ.-მა ვერ მოასწრო ე.წ. „სქრინშოტის“ სახით ყველა მისი გამოქვეყნებული პოსტების შენახვა და იმ პერიოდში მას ამის არც დრო და არც ტექნიკური რესურსი ჰქონდა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ზემოაღნიშნული სადავო პოსტი ფეისბუქში გააზიარა ბ. ბ.-მა, რომელიც იმ დროს იყო ადვოკატ ც. ჯ.-ის ფეისბუქ მეგობრებში და შესაბამისად, მის სოციალურ გვერდზეც გამოჩნდა ეს პოსტი. ადვოკატმა ც. ჯ.-მა თავის მხრივ, გააზიარა ბ. ბ.-ის პოსტი და დააფიქსირა თავისი პოზიცია, როგორც კლიენტის დამცველმა და მიმართა ბ. ბ.-ს, თუ რატომ აზიარებდა ასეთ არასწორ და ცილისმწამებლურ ინფორმაციას, რასაც ავრცელებდა ი. ზ. .

2.3 ადვოკატმა მის მიერ გამოქვეყნებულ ფრაზაზე „გახრწნილი მატყუარა“ გამოყენებას ი. ზ.-ს მიმართ, განმარტა: პირი, რომელიც საზიზღარ ტყუილს ავრცელებს და ასე სურს წარმოაჩინოს ჩემი კლიენტი, თუ სხვა, ისეთივეა თავადაც, როგორც ამ სიცრუის გამავრცელებელი.

2.4 ადვოკატ ც. ჯ.-სთვის სოციალურ ქსელში ხელმიუწვდომელია ი. ზ.-ს ზემოაღნიშნული პოსტი და შესაბამისად, საჩივრის ავტორის ვალდებულებაა წარმოადგინოს მის მიერ საჯარო სივრცეში დადებული პოსტი, რამაც გამოიწვია ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ მოსაზრების გამოქვეყნება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის არ ნანობს სოციალურ ქსელში საჩივრის ავტორის მიმართ გამოქვეყნებულ არცერთ ფრაზას და დღესაც ასეთი დამოკიდებულება აქვს, რადგან ი. ზ.

აჟღერებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პოზიციას მ. მ.-ის და მისი ოჯახის მიმართ, სწამებს მას ცილს და ცდილობს მისი სახელის, პატივისა და ღირსების შელახვას. შესაბამისად, ის როგორც მ. მ.-ის ადვოკატი, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ ცრუ ბრალდებას გვერდს ვერ აუვლიდა. ადვოკატის თავდაპირველად, იყო თ. მ.-ის ადვოკატი და მისი მამა მ. მ. დღემდე მიმართავს მას სამართლებრივი კონსულტაციებისთვის.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან ი. ზ. აჟღერებს ხელისუფლების პოზიციას, ის იშიფრება, როგორც აგენტი, მისი ქმედებები არის ზეწოლა და აღნიშნული მოსაზრება აქვს არამხოლოდ მას, არამედ სხვებსაც. ადვოკატის განცხადებით, მან არ უნდა ამტკიცოს რომ ი. ზ. არის აგენტი, არამედ საჩივრის ავტორმა უნდა დაასაბუთოს, რომ არ არის ასეთი.

2.7 ადვოკატიარ მიიჩნევს ი. ზ.-ს კოლეგად. სპეცსამსახურებს ჰყავთ ე.წ. ადვოკატი, რომელსაც იყენებენ გარკვეულ მსგავს საქმეებზე, რომ შექმნან საზოგადოებრივი აზრი. ადვოკატის განცხადებით საჩივრის ავტორის ქმედებები, მათ შორის კომისიაში საჩივრის წარმოდგენა შეიძლება შეფასდეს, როგორც მისი და მ. მ.-ის ოჯახის მიმართ ზეწოლად.

2.8 ადვოკატის განცხადებით, შესაბამისი ორგანოებისთვის არ მიუმართავს ი. ზ.-ს აგენტობის დადგენის მიზნით, რადგან ასე რომც იყოს, ამ ინფორმაციას პროკურატურა არ გაუმჟღავნებს.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მას არ აინტერესებს კომისია რა გადაწყვეტილებას მიიღებს და არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ თავი იმართლოს. ადვოკატის განმარტებით, ი. ზ.-ს არ მიიჩნევს თავის კოლეგად.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2021 წლის 31 მარტს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ც. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე კოლეგიალობის პრინციპის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის) შესაძლო დარღვევის საფუძვლით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების, ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

ადვოკატმა ც. ჯ.-მა 2020 წლის 26 მაისს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მისი სახელით გამოაქვეყნა პოსტი, სადაც ადვოკატი ი. ზ. მოიხსენია, როგორც „გახრწნილი მატყუარა“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ განთავსებული სტატუსის ე.წ. „სქრინშოტი“.

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ დარღვეულია კოლეგიალობის პრინციპი:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი).

6.2 “ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს”. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 30.01.2019 033/19, 5.2).

6.3 “გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან... . ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად“.

6.4 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

6.5 „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე *R.S and Z v Switzerland*).

6.6 ადვოკატმა ც. ჯ.-მა 2020 წლის 26 მაისს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მისი სახელით გამოაქვეყნა პოსტი, სადაც ადვოკატი ი. ზ. მოიხსენია, როგორც „გახრწნილი მატყუარა“. შესაძლოა, ადვოკატი ც. ჯ. არ ეთანხმებოდა მისი კოლეგის - ი. ზ.-ს სოციალურ ქსელში

გამოქვეყნებულ მოსაზრებებს, რომელიც შესაძლოა, როგორც ადვოკატ ც. ჯ.-ის პოზიციიდან ირკვევა იყო შეურაცხმყოფელი და მაპროვოცირებელი, თუმცა მიუხედავად აღნიშნული გარემოების არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც, აღნიშნული ვერ იქნებოდა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის გამომრიცხავი გარემოება. ვინაიდან, ადვოკატი მაღალი პროფესიული სტანდარტის გამომხატველია, ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეეცადოს თავი შეიკავოს არაეთიკური გამონათქვამებისგან, მით უფრო კოლეგის მისამართით.

6.7 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის შეფასებას იმის თაობაზე, რომ სიტყვა „მატყუარა“ განსხვავდება „ტყუილისგან“, რომელიც აფასებს ინფორმაციას, როგორც ცრუს, არასწორს. „მატყუარა“ ეხება პიროვნებას, მის ღირსებას. კომისისიის ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, სადაც ადვოკატმა მისი კოლეგის განცხადებას უწოდა „ტყუილი“. ადვოკატმა ახსნა „გამოთქმული მოსაზრებების შინაარსი და წინაპირობები, ასევე ის გარემოება, რომ მოცემული ფორმით საკუთარი აზრის გამოხატვისას მის მიზანს წარმოადგენდა საქმის გამოკვლევისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე საუბარი და არა კოლეგის შეურაცხყოფა... კოლეგიამ განმარტა, რომ შეფასებები კრიტიკული შინაარსისაა, თუმცა არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. კოლეგიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შეფასება კრიტიკული განცხადების გარდა, გამოხატულია თავაზიან ფორმაში“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 28.06.12 დისციპლინური საქმე 057/12, 5.13. - 5.14).

6.8 გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სიტყვა „მატყუარა“-ს გამოყენება შესაძლოა, არ სცილდებოდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში, კოლეგის მიმართ „მატყუარასთან“ ერთად სიტყვით „გახრწნილი“ შეფასება პირდაპირ, განზრახ აკნინებს პიროვნების, როგორც კოლეგის, პატივს. ამგვარი ფრაზების გამოყენება არ გამომდინარეობს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვიდან, როგორც ამას ადვოკატი უთითებს, რომ ის „გვერდს ვერ აუვლიდა ცრუ ბრალდებას“ (პარკ.2.5), მით უფრო, რომ ადვოკატმა განცხადება გაავრცელა სოციალურ ქსელში და არა სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში, რა შემთხვევაშიც შესამოწმებელი იქნებოდა ადვოკატის გამონათქვამის მიმართ დადგენული იმუნიტეტის გავრცელების საკითხი, აღნიშნულთან დაკავშირებით კომისია იზიარებს დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის მითითებას იმის თაობაზე, რომ „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 38(4)). მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის გამონათქვამი ფორმალურადაც არ არის დაცული ზემოაღნიშნული ნორმით, შესაბამისად არ არსებობს საჭიროება შეფასდეს, რამდენად კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობდა ზემოაღნიშნული კოლეგის შეფასება.

6.9 ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ზემოთაღნიშნული სიტყვები და მისი კოლეგის - ი. ზ. ს განცხადებებზე სხვა ფორმით გაეცა პასუხი, მით უმეტეს, როცა კოლეგის მოხსენიება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ადვოკატ ც. ჯ.-ს არ სჭირდებოდა სოციალურ ქსელში მისი მოსაზრებების გამოთქმისთვის ან მისი კლიენტის ინტერესების დაცვის პოზიციის წარმოსადგენად და დასასაბუთებლად.

6.10 კომისია ადგენს, რომ სახეზეა ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა - კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

6.10 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები: დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომელიც არ არის სახდელი, სახდელის სახეები: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა;

6.11 პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად... ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.12 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

6.14 ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ კოლეგის მიმართ ზემოაღნიშნული ფრაზის გამოყენება არ არის იმ მიზნის პროპორციული, რასაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და კოლეგიალობის ფარგლებში მოქმედება ჰქვია. ეს ფრაზა სცდება აზრის თავისუფლების ფარგლებს და ზიანის მომტანია არამარტო ამ სიტყვების ადრესატისთვის, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიისათვის.

6.21 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არ

მიიჩნევს, რომ მის ფრაზის „გახრწნილი მატყუარას“ კოლეგისადმი მიმართვა საჯარო სივრცეში არაეთიკური მოქმედებაა, მიუხედავად იმისა წინსწრებად უძროდა თუ არა წინ მომჩვანის მაპროვოცირებელი განცხადებები, რაც შესაძლოა დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას შემამსუბუქებელი გარემოება იყოს, თუმცა არა არაეთიკური ქცევის გამამართლებელი.

6.22 შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა: მომავალში, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში მოქმედების გათვალისწინებას.

6.23 „კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 20.10.20 დისციპლინური საქმე 063/19).

6.24 კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ ც. ჯ.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებაა (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა).

6.25 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.2(ა), 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 38 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N014/20 დადგინდეს ადვოკატ ც. ჯ.-ის /სიითი N/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ც. ჯ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

5. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/